# ხელშეკრულება №07/03

ქ.ონი 11 მარტი 2015 წელი

ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ. ონში დავით აღმაშენებლის მოედანი №1, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ, შპს "მოედანი 2009" მისი ხელმძღვანელის **ბაქარ ჯაფარიძის** სახით (შემდგომში მიმწოდებელი) საქ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს სოფ.**გლოლაში** საქართველოს მთავრობის 05.02.2015 წლის №143 განკარგულების საფუძველზე,**ღვარცოფსაწინააღმდეგო** სამუშაოები (დანაყოფის კოდი – 45246000).

1.2. შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-5, მე-6 და მე-7 მუხლის შესაბამისად.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი, რომელიც შემსრულებლის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, მათ ხარისხს და პროექტთან შესაბამისობას, რის შესახებაც ადგენს აქტს.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ნატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

2.3 ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას გაუწევს შემსყიდველის მიერ დადგენილი პირი.

## 3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მოცემული ხარჯთაღრიცხვის და გრაფიკის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

3.3 ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება.

3.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადების დღიდან **3 თვის (სამი) ვადაში.**

3.5 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 1 **აგვისტომდე.**

## 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის ნაწილი ჩაითვლება მიღებულად შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი აქტისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება ხდება შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი აქტის და **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე, რომლის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი;**

4.3 შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. (10 დღის ვადაში)

4.4 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადა განისაზღვროს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წელი;

4.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზების მითითებით.

## 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარისსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გადარიცხვით, შესრულებული სამუშაოს შესახებ მოთხოვნის, ფორმა №2-ის, ზედდებულის და სპეციალურად შექმნილი ჯგუფის შედეგად შედგენილი აქტის საფუძველზე კომისიის თავმჯდომარის დასკვნით.

5.2 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 დღის ვადაში.

## 6. ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

## 7.ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

7.1 ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 57 195 **ლარი (ორმოცდაჩვიდმეტიათას ას ოთხმოცდათხუთმეტი** ლარი)

## 8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## 9. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 10.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1 პროცენტი. შემსრულებელი თუ 20 დღის განმავლობაში არ აღმოფხვრის გრაფიკიდან ჩამორჩენას შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

12.2 თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

12.3. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

12.4. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი მონაცემები აღმოჩნდება ყალბი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.6. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაო.

## 13.ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 14.სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონების მიხედვით.

## 15. ხელშეკრულების ენა

*15.1 ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.*

## 16. შეტყობინება

*16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.*

*16.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.*

## 17. გადასახადები და დაბეგვრა

*17.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.*

*დამკვეთი:*
*ონის მუნიციპალიტეტი:*

---------------------------------
*/გიორგი ლობჟანიძე/*

ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1
ტელ.: 551 550403
ს/კ №237978275
სახაზინო კოდი 300323459

ს.ს. "ლიბერთი ბანკის" ონის ფილიალი
ბ.კ. **LBRTGE22**

*შემსრულებელი:*

*შპს"მოედანი 2009"*

---------------------------------
*/ზაქარ ჯაფარიძე/*

ტელ:599241971
*ქ.ონი ზურაბ ქაფიანიძის ქ.N104*
ს/კ 237978550

ანგ. №**GE69LBO113146403805000**
ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
ბ.კ. **LBRTGE22**

# ხელწერილი

## ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ონი

11 მარტი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ სოფ.გლოლაში ღვარცოფსაწინააღმდეგო სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი ლობჟანიძე

შპს"მოედანი 2009"

ბაქარი ჯაფარიძე

გიმი GIMI
ძიება, პროექტირება, მშენებლობა
SURVEY, DESIGN, BUILDING
თბილისი, პეკინის ქ. 39 ☎: +995 599 111 123, +995 599 373 251 ✉: nugodal@rambler.ru 39 PEKINI ST., TBILISI, GEORGIA

# ონის მუნიციპალიტეტის სოფ. გლოლაში ღვარცოფის საწინააღმდეგო ღონისძიების პროექტი

## მუშა პროექტი

### სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

შედგენილია 2014 წლის III კვ. ფასებში.

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 57.195 ათასი ლარი

შპს "გიმი"-ს დირექტორი: გ. რაზმაძე

შეადგინა: ნ. მჭედლიშვილი

თბილისი
2014წ.

# განმარტებითი ბარათი

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია მუშა ნახაზებისა და სამუშაოთა მოცულობების უწყისის საფუძველზე, რესურსული მეთოდით, 1984 წლის ნორმებისა და 20014 წლის III კვ ფასთა კრებულის გამოყენებით.

ხარჯთაღრიცხვა საორიენტაციოა და არ წარმოადგენს ანგარიშსწორების დოკუმენტს. ანგარიშსწორება მოხდეს ფაქტიური დანახარჯების მიხედვით ან ტენდერში დაფიქსირებული თანხის შესაბამისად.

დროებითი მითითებების თანახმად გამოყენებულია შემდეგი დანარიცხები:

ზედნადები ხარჯები 10 %;

მოგება – 8 %;

გაუთვალისწინებელი ხარჯები – 3 %;

დ ღ გ – 18 %.

ობიექტის მთლიანი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 57.195 ათას ლარს,

მათ შორის დ ღ გ – 8.725 ათას ლარს.

შეადგინა: ნ. მჭედლიშვილი

## ონის მუნიციპალიტეტში სოფ.გლოლაში ღვარცოფის საწინაარმდეგო ღონისძიება

მშენებლობის დასახელება

# ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №1-2

## ღვარცოფის საწინაარმდეგო ღონისძიება

ობიექტის დასახელება

სახარჯთაღრ. ღირ. 57.195 ათასი.ლარი

შედგენილია 2014 წლის IIIკვ საბაზრო ფასებში

| № პ/პ | შიფრი და ნორმატივის პოზიციის ნომერი | სამუშაოების და დანახარჯების დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, ლარი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | განზომილების ერთეულზე | საპროექტო მონაცემებით | განზომილების ერთეულზე | სულ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 1 | 1-11.-16 | IV კატ გრუნტის დამუშავება ქვაბულში ექსკავატორით და გვერზე დაყრა ექსკავატორით 0,5 მ3 , | 100მ3 | | 4.114 | 1847.11 | 7599.03 |
| | | შრომატევადობა | კაც/სთ | 21.5 | 88.451 | 4.6 | 406.87 |
| | | ექსკავატორი 0,5 მ3 მუხლუხა | მან/სთ | 48.2 | 198.2948 | 36.27 | 7192.15 |
| 2 | 1-29-7,13 | გრუნტის გადაადგილება ბულდოზერით 30 მ. მანძილზე | 1000 მ³ | | 4.114 | 1517.31 | 6242 |
| | | 1. ბულდოზერი 130ცხ.ძ. 22.4+9.41X2 | მანქ/სთ | 41.22 | 169.57908 | 36.81 | 6242.21 |
| 3 | 27.-7-2 | დამბის მოწყობა ადგილობრივი გრუნტით | 100 მ3 | | 2.4 | 297.80 | 714.73 |
| | | შრომატევადობა | კაც/სთ | 15 | 36.00 | 4.6 | 165.60 |
| | | ავტოგრეიდერი 108 ცხ.ძ. | მან/სთ | 2.16 | 5.184 | 27.57 | 142.92 |
| | | თვითმავალი სატკეპნი პნევმოსვლაზე 18 ტ | –//– | 2.73 | 6.552 | 35.63 | 233.45 |
| | | სარწყავი მანქანა | –//– | 0.97 | 2.328 | 48.23 | 112.28 |
| | | ადგილობრივი ბალასტი | მ3 | 122 | 292.8 | 0 | 0.00 |
| | | წყალი | მ3 | 7 | 16.8 | 3.6 | 60.48 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 1.-22-16 | IV კატ ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ექსკავატორით 0,5 მ3 , ა/მან-ზე | 1000მ3 | | 3.874 | 2326.75 | 9013.82 |
| | | შრომატევადობა | კაც/სთ | 27 | 104.598 | 4.6 | 481.15 |
| | | ექსკავატორი 0,5 მ3 მუხლუხა | მან/სთ | 60.5 | 234.377 | 36.27 | 8500.85 |
| | | სხვა მანქანები | მან | 2.21 | 8.56154 | 3.2 | 27.40 |
| | | ღორღი | მ3 | 0.06 | 0.23244 | 19 | 4.42 |
| 5 | 13-10 | გრუნტის გატანა 2 კმ-ზე | ტნ | | 8135.4 | 1.83 | 14887.78 |
| | | მანქანები | ტნ | 1.000 | 8135.4 | 1.83 | 14887.78 |
| | | ს უ ლ: | | | | | 38457.56 |
| | | ზედნადები ხარჯები სამშ სამუშაოებზე | | 10% | | | 3845.76 |
| | | ს უ ლ : | | | | | 42303.32 |
| | | მოგება | | 8% | | | 3384.27 |
| | | ს უ ლ : | | | | | 45687.58 |
| | | ექსპერტიზა | | 3% | | | 1370.63 |
| | | ს უ ლ : | | | | | 47058.21 |
| | | გაუთვალისწინებელი ხარჯები | | 3% | | | 1411.75 |
| | | ს უ ლ : | | | | | 48469.96 |
| | | დღგ | | 18% | | | 8724.59 |
| | | ს უ ლ : | | | | | 57194.55 |

შეადგინა: ნ. [signature] ნ. მჭედლიშვილი